

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო
დეპარტამენტი

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის კირველი
ეროვნული საყოველთაო აღწერის
შედეგები

ტომი I

თბილისი

2003 წ.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი
ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები
ტომი I

სარედაქციო კოლეგია:

თეიმურაზ ბერიძე (მთავარი რედაქტორი)

იოსებ არჩვაძე

ომარ შურღაია

წიგნი მოამზადა სამუშაო ჯგუფმა:

ციცია ელიაძე - ხელმძღვანელი

ნათელა ქველაძე

ირაკლი აფხაძე

ნათელა გობეჯია

მცირე გნოლოძე

ლევანი გრუგალაშვილი

რუსუდან ელიაძე

დათო ვადაჭკორია

ლალი ვადაჭკორია

მედეა მიგინიშვილი

ციცია ქორია

ზაზა ქორიძე

მაია ქურდაძე

ნინო ქურდაძე

ლიანა ყოჩიაშვილი

პატა შვიშვილი

ნათელა ჩიქოვანი

ეკატერინე ხვედელიანი

კომპიუტერული დამუშავება:

მანანა გიორგაძე

დარეჯან გიორგაძე

კომპიუტერული აწყობა და დიზაინი:

ირმა გაბლია

მედეა ჩიბირაშვილი

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში განხორციელებულმა ღრმა თვისებრივმა ეკონომიკურმა, სოციალურმა, დემოგრაფიულმა და სხვ. ცვლილებებმა განაპირობა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მომზადებისა და ჩატარების აუცილებლობა. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ ობიექტური და სრული სტატისტიკური ინფორმაციის მიღების მიზნით, 1995-2004 წწ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ-ქვეყნებში მოსახლეობის ეროვნული აღწერების ჩატარების თაობაზე გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1995 წლის 19 იელისის რეზოლუციის შესაბამისად, 1995 წ. 20 ნოემბერს გამოიცა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის № 488 ბრძანებულება „საქართველოს მოსახლეობის აღწერის მოწყობისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“.

აღწერა ეროვნული სტატისტიკური სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია, რომელიც წარმოადგენს განსაზღვრული დროის ან პერიოდისათვის ქვეყნის თითოეული მცხოვრების შესახებ დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური ცნობების შეგროვების, დამუშავებისა და გაანალიზების ყველაზე მასშტაბურ და ეფექტიან ღონისძიებას. მისი მთავარი მიზანია სახელმწიფო სამმართველო და აღმშენებლობით გადაწყვეტილებათა მისაღებად მოსახლეობის რიცხოვნობის, შემადგენლობისა და განსახლების შესახებ მონაცემთა მრავალმიხრივი და სარწმუნო ბაზის შექმნა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფაქტობრივად მხოლოდ აღწერისა და მის მომიჯნავე წლებში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მონაცემებისა და მათი კომბინაციის ანალიზითაა შესაძლებელი დემოგრაფიული პროცესების მოდელირება და პროგნოზირება, დემოგრაფიული განვითარების პროგრამებისა და რეალისტური დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება, საბოლოო ჯამში კი – სახელმწიფოს დემოგრაფიული აღმშენებლობითი საქმიანობის წარმართვა.

წინამდებარე დოკუმენტში განხილულია საქართველოში მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მომზადებისა და ჩატარებისათვის მეთოდოლოგიური, სამართლებრივი, ორგანიზაციული ბაზის შექმნისა და სხვ. საკითხების გადასაწყვეტად განხორციელებული ძირითადი ღონისძიებები, გაანალიზებულია შესრულებული სამუშაოების პირველი უმნიშვნელოვანესი შედეგები და შექმნილი გამოცდილება, ამასთანავე, წარმოდგენილია დასკვნები და წინადადებები მომავალში მოსახლეობის აღწერის სრულყოფილად მომზადება-ჩატარებისათვის.

**I. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი
ეროვნული საყოველთაო აღწერის
მომზადება-ჩატარებისა და
მისი ძირითადი შედეგების
შესახებ**

1. ზოგადი ცნობები საქართველოს შესახებ

1.1. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა

საქართველო სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. მისი ფართობი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში 69,5 ათას კვ. კმ-ს შეადგენს. 2002 წლის 17 იანვრის მონაცემებით, ქვეყანაში არაეკონტროლირებადი, ანუ იმ ტერიტორიის გამოკლებით, სადაც არ ვრცელდება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია (აფხაზეთის არ და ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო) 4 371,5 ათასი კაცი ცხოვრობს, ხოლო მოსახლეობის შესაბამისი სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 72,8 კაცს უდრის.

საქართველოს ესაზღვრება: ჩრდილოეთით – რუსეთის ფედერაცია, აღმოსავლეთით – აზერბაიჯანი, სამხრეთით – სომხეთი, სამხრეთ-დასავლეთით – თურქეთი.

საქართველოს შემადგენლობაში შედის: აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, ქვეყანაში 11 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მხარე, 5 განსაკუთრებული სტატუსის ქალაქი, 65 რაიონი (ქ. თბილისის 5 შიგასაქალაქო რაიონის ჩათვლით) და 98 საქალაქო დასახლებაა. მათ შორის, 54 ქალაქი, 44 დაბა, 896 სასოფლო საკრებულო და 3668 სასოფლო დასახლებული პუნქტია.

საქართველოს დედაქალაქია თბილისი, სადაც 1081,5 ათასი კაცი ცხოვრობს.

საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოა მმართველობის რესპუბლიკური ფორმით. სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებენ საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტი და საქართველოს სასამართლოები.

საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია.

საქართველოს პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც საკანონდებლო ხელისუფლებას ახორციელებს.

1.2. თანამედროვე დემოსოციალური ვითარება

ბოლო ათწლეულში არსებითად შეიცვალა საქართველოში დემოსოციალური ვითარება. წინა წლების მსგავსად, გრძელდებოდა ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება თუმცა, 90-იან წლებთან შედარებით, ნაკლები ინტენსივობით. მოსახლეობის ბუნებრივ და მექანიკურ მოძრაობაში გამოკვეთილი ნეგატიური ტენდენციების გამო (შობადობის შემცირება, გარემიგრაციული

პროცესების ინტენსიურობა, მიგრანტთა შორის რეპროდუქციული ასაკის მოსახლეობის მაღალი წილი და სხვ.), გაიზარდა მოსახლეობის დაბერების მაჩვენებელი. 2002 წლის იანვრისათვის, 65 წლისა და უხნესი ასაკის მოსახლეობის წილი 14,1 პროცენტი შეადგინა, მაშინ, როდესაც 1995 წელს 11,5 პროცენტს არ აღემატებოდა.

2002 წელს შობადობის გარკვეული ზრდისა და მოკვდაობის ერთგვარი კლების შედეგად, წინა წელთან შედარებით, გადაიღდა ბუნებრივი მატების მანქანებელი და 0,2 პრომილე შეადგინა. ამავე დროს, მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ძირითად ფაქტორად კვლავ რჩება გარე მიგრაცია.

2002 წელს, 2000 წელთან შედარებით, მოკვდაობა მოსახლეობის ათას სულზე გაანგარიშებით უმნიშვნელოდ შემცირდა. ამავე დროს, იკლო 1 წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა როგორც აბსოლუტურმა რაოდენობამ, ისე მოკვდაობის კოეფიციენტმა.

ახალშობილთა რიცხოვნობის რამდენადმე ზრდის მიუხედავად, შობადობის ჯამური კოეფიციენტი (1,1) მაინც ეერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოებისათვის საჭირო დონეს (2,1) და 1990 წლის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 53 პროცენტს შეადგენს. ამასთანავე, დაბადებულ ბავშვთა შორის გაიზარდა რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობილთა წილი. 2002 წელს დაახლოებით 21,5 ათასი ბავშვი შეეძინათ ქალებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. ეს ძირითადად განპირობებულია არარეგისტრირებულ ქორწინებათა გახშირებით, აგრეთვე, იმით, რომ, თუმცა, ქორწინებათა რიცხვი 1995 წლის 21 ათასიდან 2002 წელს 12,5 ათასამდე შემცირდა, უკანასკნელ წლებში გაიზარდა საეკლესიო წესით ქორწინებათა რიცხვი, რომელთა რეგისტრაცია არ ხდება შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში.

შეიცვალა ახალშობილთა ხტრუქტურა დაბადების რიგითობის მიხედვითაც – რიგით მესამე და მეტ ბავშვთა წილი 1990 წელთან შედარებით, 21,4 %-დან 2002 წელს შემცირდა 14,6%-მდე. ეს კი მიუყვანიშნებს მცირერიცხოვანი ოჯახების მომრავლებასზე.

ამავე დროს, ქვეყანაში ძალიან დაბალია რეგისტრირებული ქორწინებისა და განქორწინების დონე. ეს მაჩვენებლები 1990 წელს, შესაბამისად, 6,7 და 1,4 პრომილეს შეადგენდა, 2002 წელს კი 3,0 და 0,4 პრომილემდე შემცირდა. განქორწინებათა დიდი ნაწილი 35 წლამდე ასაკის მოსახლეობაზე მოდის.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე დემოსოციალური ვითარება, რაც კრებულში მოყვანილი მონაცემებიდან მკაფიოდ ჩანს, მოითხოვს სასწრაფო და ქმედითი ზომების განხორციელებას. უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია ქვეყნის მობილური სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება და ცხოვრებაში გატარება. ამან, სულ მცირე, უნდა უსრუნიედელოს დემოპულაციის პროცესის შეჩერება.

2. საპარტეზლოს მოსახლეობის პირველი მრავალრიცხოვანი საყრდენი აღწერის მიზანი, ამოცანები და მნიშვნელობა

საბჭოთა კავშირის დაშლისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ საქართველოში განვითარებული მოვლენების, მათ შორის უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის, აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეიარაღებული კონფლიქტების, შედეგად მკვეთრად დაუცა ქვეყანაში მოსახლეობის კეთილდღეობის დონე, გაიზარდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ადამიანების რაოდენობა, წარმოიშვა ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა მრავალრიცხოვანი არმია. ამავდროულად, ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გადაყვანამ არსებითად შეცვალა მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა და დასაქმების სტრუქტურა, გაჩნდნენ დამქირავებლები, დაქირავებულები, თვითდასაქმებულები და უმუშევრები. ყოველივე ამან რადიკალური ძვრები გამოიწვია ქვეყნის მოსახლეობის შემადგენლობასა და სტრუქტურაში, სტრუქტურაში და იმაყდროულად უაღრესად გაართულა ყველა ამ ცვლილების მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვის მეშვეობით ასახვა.

თვისებრივმა ცვლილებებმა მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში, მისი მობილურობის ამადლებამ, ღია ეკონომიკურ კავშირუროთობათა განვითარებამ, ამასთანავე, ეკონომიკაში მიმდინარე ინსტიტუციურმა ძვრებმა, აგრეთვე მოსახლეობის ბოლო, საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების წინა პერიოდში (1989 წ.) ჩატარებული აღწერის მონაცემების გამოყენებითი ღირებულების მნიშვნელოვანმა დევალვაციამ და არაადეკვატურობამ სრულიად ახალი რეალობებისადმი, უკვე 1990-იანი წლების შუახანებში დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის მოსახლეობის ხელახალი საყოველთაო აღწერის მომზადებისა და ჩატარების საკითხი.

განუზომებელია მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მნიშვნელობა. როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე, მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების დონეზე შეიქმნა დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა მრავალმხრივი და ტევადი საინფორმაციო ბაზა. იგი შეიცავს სარწმუნო ინფორმაციას მოსახლეობის რიცხოვნობის, მისი ეროვნული შემადგენლობის, ენობრივი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, სქესისა და ასაკის, მოქალაქეობის, სარწმუნოების, განათლების, არსებობის საშუალებათა წყაროების, პროფესიის, დასაქმების, მიგრაციული აქტივობისა და ა.შ. შესახებ.

აღწერის წარმატებით ჩატარების წინაპირობათა შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ისეთი ძირითადი ფაქტორები, როგორცაა:

- მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ პირველი ეროვნული აღწერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის გაცნობიერება, რასაც, თავის მხრივ, დიდად შეუწეო ხელი აღწერის ჩატარება-მომზადებასთან დაკავშირებული საკითხების სპეციალისტების, მეცნიერების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების ფართო წრეში განხილვამ, ასევე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ სააღწერო პრობლემატიკის თანმიმდევრულმა და მიზანმიმართულმა გაშუქებამ;

- საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოსახლეობის აღწერის, როგორც პრიორიტეტული საერთო-სახელმწიფოებრივი ღონისძიების, აღიარება;

- საქართველოს მოსახლეობის აღწერის საორგანიზაციო სახელმწიფო კომისიისა და შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების კომისიების მუშაობის კოორდინირება;

- ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების მიერ სააღწერო ღონისძიებების განხორციელებისადმი აქტიური მხარდაჭერა, რამაც უზრუნველყო მოსამზადებელ ღონისძიებათა ფართო კომპლექსის დროულად და მაღალ ხარისხოვნად განხორციელება;

- სააღწერო ღონისძიებათა შესაძლებლობის ფარგლებში დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

- მოსახლეობის აღწერის მომზადებისა და ჩატარებისათვის მოზიდული მუშაკების მნიშვნელოვანი ნაწილის პრაქტიკული გამოცდილება;

- ეროვნული სააღწერო პერსონალის მომზადებაში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და განვითარებული ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების დახმარება.

3. მოსახლეობის აღწერის მომზადება-ჩატარებასთან დაკავშირებული ძირითადი მეთოდოლოგიური, სამართლებრივი და ორგანიზაციული საკითხები

3.1. აღწერის მეთოდოლოგიური საფუძვლები

მოსახლეობის აღწერა უმნიშვნელოვანესი სტატისტიკური ღონისძიებაა, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის, მისი საბინაო პირობებისა და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვა მხარეების შესახებ უადრესად საჭირო მონაცემების შეკრების მიზნით ტარდება. იგი აუცილებლად უნდა პასუხობდეს სტატისტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს. ამ ღონისძიების მომზადება-ჩატარებისადმი წაყენებულ მოთხოვნათა შორის, შეიძლება, გამოვეყნოთ შემდეგი ნიშნები:

- აღწერის საყოველთაობა;
- დაკვირვების ერთეული;
- ინდივიდუალური რეგისტრაცია და მოპოვებული მონაცემების მხოლოდ ნაერთი, განზოგადებული სახით გამოყენება;
- აღწერის ჩატარება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ერთხა და იმავე დროსა და პერიოდში;

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო, ისე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნები, ჩართულია მოსახლეობის აღწერის ჩატარების ათწლიან ციკლში, რაზეც გაეროს შესაბამისი სამსახურები სისტემატურ მონიტორინგს აწარმოებენ, იძლევიან რეკომენდაციებს. სწორედ ასეთი რეკომენდაციები დაედო საფუძვლად აღწერის მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ ბაზას, უზრუნველყო შემდეგში აღწერით მიღებული შედეგების სხვა ქვეყნების შესაბამის მარეწვებლელთან შესადარისობა.

საქართველოში 2002 წლის მოსახლეობის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის სათანადო მეთოდოლოგიურ, სამართლებრივ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სააღწერო პროგრამის სწორად შედგენას, უწინარეს ყოვლისა, იმ კითხვების ჩამონათვალის განსაზღვრას, რომლებიც უნდა შეტანილიყო სააღწერო ფურცლებსა და სხვა დოკუმენტებში მოსახლეობის პასუხების მისაღებად. კითხვების რაოდენობა და შინაარსი გარკვეულწილად შესაძლებელი იყო აღწერის სამუშაოთა მოცულობით,

მათი შესრულების ვადებით, შრომის დანახარჯებითა და ფინანსური შესაძლებლობებით.

აღწერის პროგრამა შეადგინა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა სწავლული დემოგრაფიის, ეკონომისტიკის, სხვა დარგების სპეციალისტების მონაწილეობით, გაეროსა და დსთ-ის სტატკომიტეტის რეკომენდაციების, წინა აღწერებისა და ანალოგიური ღონისძიების საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩატარების გამოცდილების გათვალისწინებით.

აღწერას უნდა მოეცვა ქვეყნის იურისდიქციაში მყოფი მთელი ტერიტორია, აღრიცხულიყო თითოეული ადამიანი როგორც მუდმივად (ან დროებით არმყოფი), ასევე, აღწერის კრიტიკულ მომენტში ადგილზე მყოფი ყველა დროებით მცხოვრები. წინა აღწერის მსგავსად, 2002 წელსაც უნდა აღწერილიყო მოსახლეობის ორი კატეგორია – მუდმივი და ფაქტობრივი. მუდმივ მოსახლეობას წარმოადგენს ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც მუდმივად ცხოვრობს მოცემულ ადგილზე, მიუხედავად იმისა, იმყოფება თუ არა იქ აღწერის ჩატარების მომენტში. ფაქტობრივი მოსახლეობა კი ადამიანთა ერთობლიობაა, რომელიც აღწერის თარიღისათვის მოცემულ ადგილზე იმყოფება, მიუხედავად იმისა, მუდმივად თუ დროებით ცხოვრობს იქ.

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სტატისტიკური დაკვირვების ერთეულად, ადრე ტრადიციულად მიღებული „ოჯახის“ ნაცვლად, 2002 წლის აღწერისას გამოყენებულიყო „შინამეურნეობა“. ასეთი პრინციპული ცვლილება განპირობებულია სტატისტიკის სფეროში განვითარების საერთო მიმართულებით, აგრეთვე, საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლისა და აღწერის მონაცემების იმ ქვეყნების მარყენებლებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობით, რომელთა უმრავლესობაში მოსახლეობის აღწერებსა და გამოკვლევებში ამჟამად „შინამეურნეობა“ წარმოადგენს დაკვირვების ობიექტს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯავროს რეკომენდაციებში სწორედ ამ კატეგორიას ვძლვავ უპირატესობა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობის აღწერების ჩატარებისას.

„შინამეურნეობა“ გულისხმობს პირთა ერთობლიობას, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს .და ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტითა (ან მისი ნაწილით) და ნაოვსაური ან არანათესაური ურთიერთობით. იგი, შეიძლება, შედგებოდეს ერთი პირისგანაც, რომელიც წინა აღწერებში აღწერებოდა, როგორც „მარტოხელა“.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ძალისხმევით 2002 წლის აღწერის მომსახდებისა და ჩატარების პროცესში შეიქმნა საყოველთაო ეროვნული აღწერის

ჩატარებისა და მისი მასალების დამუშავების მეთოდოლოგია (იხ. დანართი №3), რასაც წინა აღწერების დროს საკუთრო ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო შეიმუშავებდა და ცენტრალიზებული წესით ამარაგებდა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს. კერძოდ, დეპარტამენტმა შეიმუშავა და ქვეყნის სამეცნიერო ორგანიზაციებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთობლივად განხილვისა და შეჯგურების შემდეგ 2001 წლის 2 თებერვალს №19-ს ბრძანებით დაამტკიცა ინსტრუქცია „საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის ჩატარებისა და სააღწერო დოკუმენტაციის შეესების წესის შესახებ“, რაც აღწერის მეთოდოლოგიური საფუძველი გახდა. მისი სამოქმედოდ გამოყენება ერთგვარ გამოცდად იქცა ე.წ. ძნელმისადგომ რაიონებში მოსახლეობის აღწერის ჩატარებისას.

ინსტრუქციაში ჩამოყალიბებულია აღწერის მეთოდიკა, დადგენილია სააღწერო ფურცლებისა და სხვა დოკუმენტების შეესების ვადები და წესი, აღსაწერი მოსახლეობის კატეგორიები, აღწერის პროგრამულ კითხვებზე პასუხების ჩაწერის ერთიანი წესი. ამ დოკუმენტის მკაფიოობასა და სააღწერო პერსონალის მიერ მის საფუძვლიან ცოდნაზე ბევრად არის დამოკიდებული აღწერის ხარისხი.

სააღწერო ფურცლები შეიცავს კითხვებს ქვეყნის მოსახლეობისაგან საჭირო ინფორმაციის მისაღებად. თითოეული მცხოვრებისაგან მიღებული ინდივიდუალური ცნობები კონფიდენციალურია, ინახება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და აღწერილი პირის თანხმობის გარეშე არ გაიყვამა. ზოგიერთი კითხვა წინა აღწერებშიც ფიგურირებდა. მაგალითად, გვარი, სახელი, მამის სახელი, სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, ენა, ეროვნება, ქორწინება და ა.შ. თუმცა, გარკვეული ცვლილება განიცადა ზოგიერთი მათგანის ფორმულირებაში.

როგორც უკვე ზემოთ აღენიშნა, 2002 წლის აღწერისას „ოჯახი“ შეიცვალა უფრო ტევადი ცნებით „შინამეურნეობა“. აქედან გამომდინარე, აღწერის პროგრამით, სააღწერო ფურცლის (ფორმა №2) პირველი კითხვა შეეხება ნათესაურ დამოკიდებულებას შინამეურნეობაში პირველად ჩაწერილი პირის მიმართ. თუ დედა (მამა) მოცემულ შინამეურნეობაში ცხოვრობს, საცხოვრისში მცხოვრებთა სიაში მისი რიგითი ნომერი მიეთითება. წინა, 1989 წლის აღწერისას კი ეს კითხვა შეეხებოდა დამოკიდებულებას ოჯახში პირველად ჩაწერილი პირის მიმართ.

2002 წლის აღწერისას, წინა აღწერის კითხვის – „სსრკ ხალხების სხვა ენა“ ნაცვლად, ამავე სააღწერო ფურცლის მე-7 კითხვა – „მშობლიური ენა“ შეივსო ქვეკითხვით – „მიეთითოს აგრეთვე სხვა ენა, რომელსაც თავისუფლად ფლობს“.

ამასთანავე, სააღწერო ფურცელში შეტანილ იქნა ახალი კითხვები: „მოქალაქეობა“; „სარწმუნოება“, კითხვას „განათლების დონე“ კი – დაემატა ქვეკითხვები: „განათლების დონის შესაბამისი პროფესია“; „სამეცნიერო ხარისხის მქონეთათვის – „მეცნიერებათა კანდიდატი“, „მეცნიერებათა დოქტორი“. კითხვა „სასწავლებლის ტიპი, რომელშიც სწავლობს ამჟამად“, 6 წლისა და უფროსი ასაკის პირთათვის, დასმულია ახალი ფორმულირებით: „სწავლობს თუ არა ამჟამად“ – „დიახ“, „არა“. წინა აღწერის დროს კითხეთ: „არსებობის საშუალებათა წყაროები“ გათვალისწინებული იყო მხოლოდ ერთი ან ორი წყაროს მითითება, ახალ სააღწერო ფურცელში (ფორმა №2) კი დასახელებულია 18 წყარო, მათ შორის, არსებობის საშუალებათა ძირითადი წყაროს გამოყოფით, ახლებურად ჩამოყალიბდა კითხვა – „მოცემულ დასახელებულ პუნქტში უწყვეტად ცხოვრობს“. ამასთან, იგი შეესო ქვეკითხვებით: „წინა საცხოვრებელი ადგილი“ და „არის თუ არა იძულებით ადგილნაცვალი?“. კითხვას „შეიღიანობა“ „15 წლისა და უფროსი ასაკის ქალთათვის“, დაემატა ქვეკითხვა იმის შესახებ, თუ რამდენი ბავშვი „ცხოვრობს ცალკე“, ხოლო „15-49 წლის ასაკში გათხოვილ ქალთათვის“ – „რამდენი შეიღის ყოლას ამირებს უკვე არსებულის ჩათვლით“. დაუსაქმებელ პირთათვის დაისვა კითხვა: „ეძებს სამუშაოს – „დიახ“, „არა“.

სააღწერო ფურცლიდან (ფორმა №2) „საცხოვრისში მცხოვრებთა`სია და მათი საბინაო პირობები“ (ფორმა №1) იქნა გადატანილი კითხვა „დროებით არყოფნისა და დროებით ცხოვრების შესახებ“, მისი მიზეზისა და ხანგრძლივობის აღნიშვნით. ასევე, ამავე სააღწერო ფურცლიდან შემოადინებულ დოკუმენტში (ფორმა №1) გადავიდა “შოსახლეობის საბინაო პირობები“, რომელიც მოიცავს ექვს კითხვას: „სახლის აშენების პერიოდი“, „საცხოვრისის ტიპი“, „საცხოვრისის საკუთრების ფორმა“, „საცხოვრებელი ოთახების რაოდენობა“, „ფართობის სიდიდე (კვ.მ)“ და „საცხოვრისის კეთილმოწყობა“. ამასთან, ამოღებულია წინა აღწერისას გათვალისწინებული კითხვა: „სახლის გარეთა საკედლე მასალები“.

სიახლეა, რომ შემოღებულია ემიგრანტთა სააღწერო ფურცელი. – ფორმა „ეშ“, რომელიც გათვალისწინებულია ბოლო ათწლეულში საქართველოდან წასული პირების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ემიგრანტად მოიაზრება საქართველოდან სხვა სახელმწიფოში მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად 12 თვეზე მეტი ხნით წასული პირი. თითოეული ასეთი პირის მიმართ ემიგრანტთა სააღწერო ფურცელში აღინიშნა: მისამართი, სადაც სასლუარგარეო წასულამდე ცხოვრობდა, აგრეთვე გვარი, სახელი, მამის სახელი, სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, ეროვნება, მშობლიური ენა, მოქალაქეობა (ამჟამად), სარწმუნოება, განათლების დონე, ქორწინება, როდის წავიდა, ქვეყანა (სად გაემგზავრა, სად

ცხოვრობს ამჟამად), საკართველოდან წასვლის მიზეზი, აქვს თუ არა მატერიალური დახმარება ოჯახს მისგან, ოჯახიდან მას, აპირებს თუ არა დაბრუნებას და თუ აპირებს – როდის?

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, აღმწერი სააღწერო უბანზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აწესებდა ფორმას 10ა „ცნობა 7-15 წლის ასაკის ბავშვების შესახებ, რომლებიც არ სწავლობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში“. დანარჩენი სამი ფორმა: საკონტროლო სააღწერო ფურცელი (ფორმა №3), საკონტროლო სათვალავი (ფორმა №4) და ცნობა აღწერის გავლის შესახებ (ფორმა №5) საკონტროლო დანიშნულებისაა. მათგან ახალი შემოღებულია საკონტროლო სათვალავი, რომელიც განმეორებით აღრიცხვის თავიდან აცილების მიზნით იყენება იმ პირზე, რომელსაც, გარდა იმ საცხოვრისისა, სადაც აღწერა გაიარა, აქვს კიდევ სხვა ბინა. ასეთი პირის შესახებ იმდენი საკონტროლო სათვალავი იყენება, რამდენი საცხოვრისიც აქვს, გარდა იმ საცხოვრისისა, სადაც აღწერა გაიარა.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ასევე დიდი მუშაობა გასწია აღწერის შედეგების დამუშავების მეთოდოლოგიური ბაზის შესაქმნელად. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს „ინსტრუქცია მოსახლეობის აღწერის მასალების ავტომატიზებული დამუშავებისათვის სააღწერო დოკუმენტაციის მომზადების წესის შესახებ“ და აღწერის მასალების დამუშავების პროგრამა, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ჭრილში წარმოდგენილ 95 ძირითადი ცხრილის ჩამონათვალს, მათ მაკეტებთან ერთად. მათში განზოგადებული და სისტემატიზებული იქნება აღწერით მოპოვებული ინფორმაცია.

სააღწერო ფურცლების ცალკეული კითხვების პასუხების კოდირებისათვის, სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა შეიმუშავა შესაბამისი ლექსიკონები. კერძოდ, შეადგინა და 2001 წლის 2 თებერვლის №19-ის ბრძანებით დაამტკიცა ეროვნებათა და ენების ლექსიკონი, რომელსაც საფუძველად დაედო 1989 წლის მოსახლეობის სრულიად საქაუშირო აღწერისათვის გამოცემული და დსთ-ის სტატკომის ეროვნებათა და ენების მოდელური ლექსიკონები სამეცნიერო ორგანიზაციათა მოთხოვნებისა და ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით.

ეროვნებათა და ენების ლექსიკონი შეიცავს 164 ეროვნებისა და მათი შესაბამისი ენების ჩამონათვალს.

საკმიანობათა ანბანური და სისტემატური ლექსიკონი შედგა საკმიანობათა ეროვნული კლასიფიკატორის საფუძველზე, 1988 წლის საკმიანობათა

საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციისა (ISCO-88) და დსთ-ის წევრი ქვეყნების ეროვნული კლასიფიკატორების შესაბამისად და დამტკიცდა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2001 წ. 2. თებერვლის № 19-ს ბრძანებით.

აღწერის მასალების ავტომატიზებული დამუშავებისათვის მომამზადებელი ჯგუფის მუშაობის გაყოფის მიზნით, ინსტრუქციას აღწერის მასალების ავტომატიზებული დამუშავებისათვის სააღწერო დოკუმენტაციის მომზადების წესის შესახებ დაერთო საცნობარო მასალა, კერძოდ:

დროებით არმყოფი და დროებით მცხოვრები მოსახლეობის დროებითი არყოფნისა და დროებით ცხოვრების მიზეზის კოდების ჩამონათვალი – „საცხოვრისში მცხოვრებთა სისი“ (ფორმა №1) მე-6 სექტის კოდირებისათვის;

ქვეყნების დასახელებათა ანბანური ჩამონათვალი – სააღწერო ფურცლის (ფორმა №2) მე-4, მე-5, მე-8 და ემიგრანტთა სააღწერო ფურცლის (ფორმა ემ) მე-4, მე-7 და მე-12 კითხვების კოდირებისათვის;

საქართველოს ტერიტორიაზე გაერცვლებული ენების ანბანური ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც მოხდება სააღწერო ფურცლის (ფორმა №2) მე-7 და ემიგრანტთა სააღწერო ფურცლის (ფორმა ემ) მე-6 კითხვების კოდირება;

ერების, ეროვნებათა და ეთნიკური ჯგუფების ანბანური ჩამონათვალი – სააღწერო ფურცლის (ფორმა №2) მე-6 და ემიგრანტთა სააღწერო ფურცლის (ფორმა ემ) მე-5 კითხვების კოდირებისათვის;

საქმიანობათა მოკლე ჩამონათვალი – სააღწერო ფურცლის (ფორმა №2) მე-12 კითხვის ქვეკითხვისა და მე-16 კითხვის კოდირებისათვის.

დაბადებისა და წინა საცხოვრებელი ადგილის კოდირებისათვის გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი – „საქართველოს აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები“ (სეკ 002.98), რომლის საფუძველზე მოსახლეობის აღწერის სამმართველომ მოამზადა და 2002 წელს ცალკე წიგნად გამოსცა „საქართველოს აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა (მეექვსე გადაამუშავებული და შევსებული გამოცემა)“.

3.2 აღწერის სამართლებრივი საფუძვლები

მოსახლეობის აღწერის ჩატარებისათვის საჭირო სამართლებრივი საფუძვლები მისი მომზადების პერიოდში შეიქმნა. ძირითად საკანონმდებლო დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს აღწერის მომზადებასა და გამოკითხვასთან, აგრეთვე, მისი მასალების დამუშავებასთან, განზოგადებასა და შედეგების გამოქვეყნება-გავრცელებასთან დაკავშირებულ საკითხებს, წარმოადგენს 2001 წ. 12 ოქტომბერს მიღებული საქართველოს კანონი „საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ“. მისი სამართლებრივი საფუძველია აგრეთვე საქართველოს კანონი „სტატისტიკის შესახებ“, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დებულება და სხვა ნორმატიული-სამართლებრივი აქტები საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების, განკარგულებების სახით.

კანონი „საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ“ განსაზღვრავს ამ დონისძიების მომზადების, ჩატარების, მოპოვებული მასალების დამუშავების, შედეგების გამოქვეყნებისა და გავრცელების წესს, აწესრიგებს აღწერის პროცესში ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებს შორის ურთიერთობებს, ადგენს აღწერის ჩატარების ძირითად საპროგრამო დებულებებსა და მეთოდებს, აღწერაში მოქალაქე მოწინააღმდეგეობასა და აღმწერი პერსონალის უფლება-მოვალეობებს, აღწერის შედეგად მიღებული ინდივიდუალური მონაცემების საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო გარანტიებს. აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები რეგლამენტირდება ისეთი ნორმატიული-სამართლებრივი აქტებით, როგორცაა: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები (იხ. დანარ. I), აგრეთვე, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების, ასევე, ცალკეული სამინისტროების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

ამ დოკუმენტების შესაბამისად:

- პასუხისმგებლობა აღწერის მომზადება-ჩატარების, მისი მასალების დამუშავების, შედეგების გამოქვეყნებისა და გავრცელებისათვის დაეკისრა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს და მის ტერიტორიულ ორგანოებს;

- განისაზღვრა სააღწერო მოსამზადებელ სამუშაოთა ჩატარების ვადები;

- დადგინდა პასუხისმგებელი შემსრულებლები ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის

ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული სტრუქტურების ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობიდან;

– დამტკიცდა მოსახლეობის აღწერის საორგანიზაციო სახელმწიფო კომისიის შემადგენლობა სახელმწიფო მინისტრის თაემჯდომარეობით, რომელსაც დაეკისრა მოსამზადებელ ღონისძიებათა შესრულების კოორდინირება და კონტროლი;

– განისაზღვრა აღწერის ჩატარების ვადა, რომელიც არაერთხელ შეიცვალა ქვეყანაში შექმნილი რთული ფინანსური სიტუაციების გამო და თავდაპირველი, 1999 წ. 20–27 იანვრის ნაცვლად, საბოლოოდ, მისი ჩატარების თარიღად 2002 წ. 17–24 იანვარი დადგინდა.

– შემუშავდა ამ ღონისძიების ჩატარების ძირითადი საორგანიზაციო საფუძვლები;

– განისაზღვრა დროებითი სააღწერო პერსონალის შერჩევისა და დამტკიცების მექანიზმი, აგრეთვე, აღწერის სამუშაოებზე მათი მოსიდვის წესი და შრომის ანაზღაურება;

– აღწერის მომზადებასა და ჩატარებასთან, ასევე, მისი შედეგების დამუშავებასთან დაკავშირებით აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს რეკომენდაცია მიეცათ, დროებით, 2001 წლის 1 ივლისიდან 2002 წლის 1 მაისამდე, თავი შეეკაუებინათ ქვეყანაში აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების განხორციელებისაგან.

3.3. აღწერის ორბანიზაციული საფუძვლები

დაისახა და განხორციელდა ღონისძიებათა მწყობრი სისტემა აღწერის მომსახდების, ჩატარებისა და მისი მასალების დამუშაების მოელი პროცესის თანმიმდევრული და მიზანმიმართული წარმართვისათვის აუცილებელი ორგანიზაციული საფუძვლების შესაქმნელად. სააღწერო სექტორების, საინსტრუქტორო და სააღწერო უბნების რიცხვის შესაბამისად, შეირჩა სააღწერო პერსონალი – აღმწერები, ინსტრუქტორ-კონტროლიორები, სააღწერო სექტორის გამგეები და მათი თანაშემწეები. აგრეთვე, აღწერის საკითხებში სტატისტიკის რაიონული (საკალაქო) განყოფილებების უფროსების მოადგილეები (აღწერის დარგში რწმუნებულები).

საქართველოს პრეზიდენტის „საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მოწყობის საორგანიზაციო სახელმწიფო კომისიის შესახებ“ 1998 წლის 17 მაისის № 327 და „საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ“ 2000 წლის 31 დეკემბრის № 549 ბრძანებულებების, საქართველოს კანონის „საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ“ თანახმად, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების მიერ აღწერის მომზადებისა და ჩატარებისათვის ფართოდ იყენენ მოზიდულნი სპეციალისტები, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკები, მასწავლებლები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტები, აგრეთვე დასაქმების სამსახურებში რეგისტრირებული სათანადო კვალიფიკაციის მქონე უმუშევრები. მათ მიერვე ხდებოდა სტატისტიკის რაიონული (საკალაქო) განყოფილებების მიერ წარმოდგენილი სააღწერო პერსონალის სიების საფუძველზე სააღწერო კადრების პერსონალურად დამტკიცება.

სააღწერო პერსონალად დროებით აყვანილი მუშაკები ძირითადად დაკავებული იყენენ: აღმწერები – 20 დღე, ინსტრუქტორ-კონტროლიორები – 30 დღე, სააღწერო სექტორის გამგეები – 60 დღე, აღწერის საკითხებში სტატისტიკის რაიონული (საკალაქო) განყოფილებების უფროსების მოადგილეები (რწმუნებულებები) – 4,5 თვე.

სააღწერო პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა და სამუშაო დღეების რაოდენობა განისაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 26 აგვისტოს №340 ბრძანებულებით „საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მოწყობის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“. ამ დოკუმენტის თანახმად, აღწერის მოელ პერიოდში მუშაობისათვის ერთდროული ანაზღაურება დაუწესდათ (სამუშაო ადგილზე საშუალო ხელფასის შენარჩუნებით): აღმწერებს – 70 ლარის, ინსტრუქტორ-კონტროლიორებს – 100 ლარის, სააღწერო სექტორის

გამგეებს – 240 ლარის ოდენობით, ხოლო აღწერის საკითხებში ადგილობრივი სტატორგანოს უფროსის მიადგილეების (რწმუნებულების) შრომის ანაზღაურება ამ ორგანოს ხელმძღვანელის თეიური განაკეთის დონეზე დადგინდა.

აღწერის მომზადება-ნასტარებლად კადრების სწავლება 1998 წლის აგვისტოში დაიწყო. ამ პერიოდში სტაჟირება გაიარეს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ადგილობრივი სტატორგანოების ხელმძღვანელმა მუშაკებმა და სპეციალისტებმა. მაგრამ აღწერის თარიღის გადავადებისა და საკადრო შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების გამო, შემდგომში აუცილებელი გახდა ახალი საორგანიზაციო გეგმების შესაბამისად, სააღწერო პერსონალის ხელახალი შერჩევა და დამტკიცება. კერძოდ, 2002 წლის აღწერის სამუშაოთა კალენდარული გეგმის შესაბამისად, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2001 წლის 21 ნოემბრის № 101–ს ბრძანების თანახმად, სწავლება გაიარეს: სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, სპეციალისტებმა, ტერიტორიული ერთეულების სტატსამმართველობის უფროსებმა, აღწერის პასუხისმგებელმა მუშაკებმა, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელმა მუშაკებმა და სპეციალისტებმა, აღწერის საკითხებში რაიონული (საქალაქო) განყოფილების უფროსის მიადგილეებმა (რწმუნებულებმა) 2001 წ. ნოემბერში, 5 დღის ხანგრძლივობით; სააღწერო სექტორების გამგეებმა და ინსტრუქტორ-კონტროლიორებმა – 2001 წ. დეკემბერში, 4 დღის ხანგრძლივობით; აღმწერებმა – 2001 წ. დეკემბერიდან 2002 წლის 10 იანვრამდე, 3 დღის ხანგრძლივობით.

სააღწერო პერსონალის სწავლებისას ცოდნის შესამოწმებლად ხდებოდა სააღწერო დოკუმენტაციის საცდელი შეესება.

საქართველოს კანონის „საქართველოს მოსახლეობის აღწერის შესახებ“, აგრეთვე მისი მოწუობისა და მომზადებისათვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 20 ნოემბრის № 488, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 15 ივნისის №307, 1998 წლის 17 მაისის № 327, 2000 წლის 31 დეკემბრის № 549 და 2001 წლის 26 აგვისტოს № 340 ბრძანებულებათა შესაბამისად, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გარკვეული მუშაობა გასწია საქართველოს საგარეო საქმეთა, იუსტიციის, თაყდაცვის, შინაგან საქმეთა, უშიშროების, განათლების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროებთან, სახელმწიფო საზღერის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტთან და სხვა უწყებებთან სამხედრო მოსამსახურეთა და მოსახლეობის სხვა სპეცკონტინგენტების, დახურულ ტერიტორიაზე, ასევე, სოციალური და სამედიცინო დანიშნულების დაწესებულებებში მცხოვრები პირების აღწერისათვის.

დეპარტამენტმა, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებთან ერთად, მოამზადა ინსტრუქცია აღნიშნული უწყებების დაქვემდებარების ობიექტებში მისახლეობის აღწერის ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შეესების წესის შესახებ. ამავე დროს, სათანადო კონსულტაციები გაეწიათ: თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტს – მათი დაქვემდებარების ობიექტებში სპეცკონტინგენტისა და დახურულ ტერიტორიაზე მოსახლეობის აღწერის ჩატარების, საგარეო საქმეთა სამინისტროს – საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქეების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოებში, საკონსულოებსა და წარმომადგენლობებში მომუშავე ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების აღწერისა და შესაბამისი მასალების დეპარტამენტში წარმოდგენის შესახებ, იუსტიციის სამინისტროს – ცალკეული კონტინგენტების აღწერის შესახებ. აღნიშნულ სამინისტროებში დროულად გამოიცა სპეციალური ბრძანებები, გამოიყო მათი დაქვემდებარების ობიექტებში აღწერის ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირები. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელთა მონაწილეობით ინსტრუქტაჟი გაეწიათ აღწერისათვის გამოყოფილ მუშაკებს მოსახლეობის აღწერისა და სააღწერო დოკუმენტაციის შეესების წესის საკითხებზე.

უნდა აღინიშნოს, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, საგარეო საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ამ მიმართებით გაწეული დადებითი მუშაობა. მადლიერების სიტყვები უნდა ითქვას ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს მიმართაც, რომელმაც აღწერის მომზადებისა და ჩატარების მთელი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყო რეგისტრაციის შეუფერხებელი რეგარეშე სატელეფონო კავშირები.

1989 წლის აღწერის შემდეგ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებები მოხდა, შეიცვალა რაიონების, დასახლებული პუნქტების, ქუჩების, მოედნების და ა.შ. სახელწოდებები. ამიტომ აღწერის მოსამზადებელ სამუშაოთა შემდგომ ეტაპზე განსახლების მსხვილით მოსახლეობის აღწერის მოსამზადებლად დასაზუსტებელი გახდა საკანონმდებლო წესით დადგენილ საქალაქო დასახლებათა ჩამონათვალი, მათი საზღვრები, ქუჩების სახელწოდებები, კვარტალების, სახლებისა და ბინების ნუმერაცია.

ამ სამუშაოთა პარალელურად, ადგილობრივი ბიუჯეტების შეზღუდული ფინანსური საშუალებების ხარჯზე დამუშავდა კარტოგრაფიული მასალები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე ადგილებზე შეადგინეს ან არსებულ მასალებში სათანადო შესწორებები შეიტანეს ტექნიკური ინვენტარიზაციის

რაიონულმა (საქალაქო) ბიუროებმა და მიწის რესურსების და მიწის კადასტრის განყოფილებებმა, იქ, სადაც ამის შესაძლებლობა არ არსებობდა, ხელშეკრულება აღნიშნულ სამიწაოთა შესრულების შესახებ საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარ სამართველოსთან დაიდო.

ქალაქების, დაბებისა და მსხვილი სოფლების (5 ათასი და მეტი მცხოვრებით) სქემატური გეგმები შედგა მასშტაბით – 1:2000, მსხვილი ქალაქებისა – 1:5000. მათზე აღინიშნა კვარტალებისა და ცალკე მასივების კონტურები, ქუჩების, მოედნების და სხვა სახელწოდებები, კვარტალებისა და მასივების ნუმერაცია, სქემატურად აისახა ყველა სახლი მათი ნომრებით.

რაიონის სქემატური რუკები შედგა მასშტაბით – 1:100000 (მრავალრიცხოვანი დასახლებული პუნქტების მქონე რაიონებისა კი – 1:50000). რუკებზე აღინიშნა სასოფლო საკრებულოების საზღვრები და დასახლებული პუნქტები, მდინარეები, ხიდები, დასახლებული პუნქტების დამაკავშირებელი გზები, აგრეთვე მანძილი მათ შორის.

ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით, საქალაქო დასახლებებისა და მსხვილი სოფლების სქემატური გეგმები და რაიონის რუკები, დადგენილი წესით, 5-5 ეგზემპლარად გადაეცათ სტატისტიკის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კარტოგრაფიული მასალების შედგენაში საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტის აქტიური თანადგომა სტატისტიკის ორგანოებისადმი, აგრეთვე, მისი უშუალო მონაწილეობა ამავე დეპარტამენტის გეოდეზიური 'ხელამხიველობის სამმართველოს მიერ შედგენილი სქემატური გეგმებისა და რუკების უარგისიანობის შემოწმებისა და კონტროლის საქმეში.

კარტოგრაფიული მასალების შედგენისა და მათში შესწორებების შეტანის შემდეგ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქალაქო დასახლებებსა და მსხვილ სოფლებში სახლებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების სიების შედგენას. ქვეყანაში შექმნილი ფინანსური სირთულეების შედეგად აღწერის თარიღის რამდენჯერმე შეცვლისა და მისი 1999 წლიდან 2002 წლის 17 იანვრისათვის გადატანის გამო, აუცილებელი გახდა ამ სამუშაოს ორჯერ შესრულება (1998 წ. თებერვალ-მარტსა და 2001 წ. თებერვალ-მარტში). აღნიშნული სამუშაოები შეასრულეს ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების მიერ საამისოდ შერჩეულმა და დამტკიცებულმა რეგისტრატორებმა, რომლებმაც მომზადების სპეციალური კურსი გაიარეს. 2000 წელს საქალაქო დასახლებებსა და მსხვილ სოფლებში სახლების სიები 670 რეგისტრატორმა შეადგინა (თითოეულის 60 ლარის ერთდროული ანაზღაურებით), ხოლო 2001 წ. სასოფლო

დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი – სასოფლო საკრებულოების 912 და დაბის, რაიონის გამგეობის 25 მდივანმა (თითოეულის 5 ლარის ერთდროული ანაზღაურებით). თითოეული რეგისტრატორი თავისი სარეგისტრატორო უბნის შემოუღლისას ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე განსაზღვრავდა ნაგებობათა საერთო რიცხვს და სიაში შექმნდა. ამავე დროს, ზუსტდებოდა მათი სამოქმედო უბნების სქემატური გეგმები, მოსახლეობის რიცხვი თითოეული სახლის მიხედვით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად აღმოჩენის შემთხვევაში სათანადო შესწორებები შეიტანებოდა კარტოგრაფიულ მასალაში.

სასოფლო და ხადაბო საკრებულოების, აგრეთვე, რაიონის გამგეობის მდივნები, სოფლების სიებთან ერთად, ადგენდნენ საკრებულოების სქემატურ რუკებს, რომლებზედაც აღინიშნებოდა ყველა დასახლებული პუნქტი და ცალკე მდგომი ნაგებობა, ამასთან ერთად, რუკაზე ჩაიწერებოდა თითოეული დასახლებული პუნქტის დასახელება, მისი ნომერი სიის მიხედვით და მანძილი ცენტრამდე.

სახლებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების სიებისა და კარტოგრაფიული მასალების (საქალაქო დასახლებებისა და მსხვილი სოფლების – სქემატური გეგმებისა და რაიონების – სქემატური რუკების) საფუძველზე სახელმწიფო სტატისტიკის რაიონულმა (საქალაქო) განყოფილებებმა, აღწერის სწორი ორგანიზაციისა და მოსახლეობის აღრიცხვით სრულად მოცვის უზრუნველყოფის მიზნით, შეიმუშავეს აღწერის ჩატარების საორგანიზაციო გეგმები.

საორგანიზაციო გეგმის ძირითადი შემადგენელი ნაწილია სააღწერო დარაიონება, ანუ რაიონის (ქალაქის) ტერიტორიის სააღწერო და საინსტრუქტორო უბნებად და სააღწერო სექტორებად დაყოფა. სააღწერო დარაიონების საფუძველზე განისაზღვრა აღწერით მოცვის სიზუსტე და საჭირო სააღწერო პერსონალის რაოდენობა. აღნიშნული სამუშაო 1998 წელს, ასევე, 2001 წლის აპრილ-მაისში შესრულდა, როგორც ეს კალენდარული გეგმით იყო გათვალისწინებული. დეპარტამენტმა სტატისტიკის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებს წინასწარ მიაწოდა მათ სამოქმედო ტერიტორიაზე აღწერის ჩატარების საორგანიზაციო გეგმების შესადაგნად საჭირო ინსტრუქციები, განუსაზღვრა სააღწერო პერსონალის საშუალო დატვირთვის ნორმები და აღწერისათვის საჭირო პერსონალის საეარაუდო საკონტროლო ციფრები ადგილობრივი პირობების (განსახლების სიმჭიდროვე, კლიმატი, რელიეფი, მანძილი ცენტრიდან) გათვალისწინებით.

ქვეყნის მასშტაბით ერთი აღმწერის საშუალო დატვირთვის ნორმად დადგინდა: ქალაქად – 300 კაცი, სოფლად – 250. მაქსიმალური დატვირთვის ნორმას არ უნდა გადაეჭარბებინა: ქალაქად – 350, სოფლად კი – 300 კაცისათვის. საინსტრუქტორო უბანი აერთიანებდა: ქალაქად – 4-5, სოფლად კი – 4 სააღწერო უბანს. თითოეული სააღწერო სექტორი მოიცავდა: ქალაქად – 8-9, ხოლო სოფლად – 7 საინსტრუქტორო უბანს მოსახლეობის შესაბამისი რაოდენობით.

რაიონებისა და ქალაქების სტატისტიკური განყოფილებების მიერ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის აღწერის ჩატარების საორგანიზაციო გეგმები, აღვილობრივი მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებისა და ვიზირების შემდეგ, წარედგინა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსახლეობის აღწერის სამმართველოს. 2001 წლის იენისს აღწერის ჩატარების რაიონული (საკალაქო) საორგანიზაციო გეგმების საფუძველზე შედგა ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის აღწერის ჩატარების ნაერთი საორგანიზაციო გეგმა, რომელიც 2001 წ. 16 ოქტომბერს დამტკიცდა დეპარტამენტთან არსებული მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე (№ 89-ს ბრძანება).

რაიონებისა (ქალაქების) და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მხარეების, ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის აღწერის ჩატარების საორგანიზაციო გეგმების საფუძველზე ქვეყნის ტერიტორია 541 სააღწერო სექტორად, 3945 საინსტრუქტორო და 16632 სააღწერო უბნად დაიყო (ძნელმისადგომი რაიონების ჩათვლით). ასევე, განისაზღვრა სააღწერო პერსონალის რაოდენობა მოძრავი მოსახლეობის აღსაწერად ისეთ შენობა-ნაგებობებში, როგორებიცაა: ხასტუმრობები, საავადმყოფოები, რეინიგზის ვაგზლები და ა.შ. წინა აღწერების, აგრეთვე სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, სააღწერო სექტორების, საინსტრუქტორო და სააღწერო უბნების რიცხვის შესაბამისად, დადგინდა სააღწერო პერსონალზე მოთხოვნილება. თითოეულ სააღწერო სექტორს რეზერვის სახით დამატებით 1-2 კაცი გამოეყო თითოეულ რაიონზე გაანგარიშებით. ასევე, 1-2 კაცით გაიზარდა ინსტრუქტორ-კონტროლიორების საერთო რიცხვი თითოეულ სააღწერო სექტორზე გაანგარიშებით. სარეზერვო აღმწერების რიცხვონობა, როგორც წესი, განისაზღვრებოდა მათი საერთო რიცხვის 30 პროცენტის, მათ შორის, ფასიანებისა – 5 პროცენტის დონეზე. სარეზერვო პერსონალი გათვალისწინებული იყო საჭირო შემთხვევაში აღმწერის შესაცვლელად, ან რომელიმე საინსტრუქტორო უბანზე ან სააღწერო სექტორზე მისამაგრებლად. შექმნილი ფინანსური სირთულეების გამო, 2002 წელს ძნელმისადგომი რაიონებში აღწერის ჩატარებლად გამოყენებულ იქნა სარეზერვო პერსონალის მხოლოდ 15 პროცენტი, ხოლო 2002 წლის აღწერის ჩატარებისას –

10 პროცენტი, მათ შორის ფასიანი რეზერვისა, ორივე შემთხვევაში, ხუთ-ხუთი პროცენტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერისას სააღწერო პერსონალის საერთო რიცხოვნობამ სულ 24363 კაცი შეადგინა (ძნელმისადგომი რაიონების გათვალისწინებით).

აღწერის წარმატებით ჩატარება ბევრად იყო დამოკიდებული ამ უდიდეს სახელმწიფოებრივ ღონისძიებაში თითოეული მოქალაქის აქტიურ მონაწილეობასა და თანამშრომლობაზე, მათ მიერ აღწერის მიზნების, ამოცანებისა და მნიშვნელობის ცოდნაზე, იმის გაგებაზე, რომ მისი შედეგები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ კრებისთი სახით სახელმწიფოს ინტერესებისათვის. თითოეულ ადამიანს უნდა გაეცნობიერებინა სააღწერო ფურცლების კითხვებზე სწორი პასუხების გაცემის აუცილებლობა, შეეგნო, რომ აღწერა ქვეყნის მოსახლეობის შესახებ მანქნებლების შეკრების ძირითადი წყაროა, ის ინფორმაციული ბაზაა მთლიანად ქვეყნის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ და სექსობრივ-ასაკობრივ ჯრილში მოსახლეობის რიცხოვნობის, ეროვნული შემადგენლობის, ოჯახური მდგომარეობის, განათლების დონის, საქმიანობის, საცხოვრებელი პირობების შესახებ, რომლის საფუძველზეც წყდება როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე ცალკეული ქალაქებისა და სოფლების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

ამასთან ერთად, მოსახლეობას უნდა სცოდნოდა აღწერის ჩატარების დრო და წესი. სააღწერო ფურცლების კითხვებზე ზუსტი და სრული პასუხების მისაღებად საჭირო იყო მათი ინფორმირება იმის შესახებ, რომ აღწერა ტარდება მათი გამოკითხვის გზით, რომ მათი პასუხები მათივე სიტყვებით ჩაიწერება სააღწერო ფურცლებში სპეციალურად მომზადებული აღმწერების მიერ რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნის გარეშე, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა, ამა თუ იმ საცხოვრისში მუდმივად თუ დროებით ცხოვრებისა. ამასთან ერთად, აღწერის მონაცემები გამოიყენება მხოლოდ განზოგადებული ნაერთი ინფორმაციის სახით და აღმწერ პერსონალს ეკრძალება, უინმეს გააცნოს სააღწერო დოკუმენტების შინაარსი.

ამ რთული და მრავალმხრივი საკითხების გარშემო მოსახლეობის ინფორმირებისათვის აღწერის მომზადების, ჩატარებისა და შესაბამისი მასალების დამუშავების მთელ პერიოდში ყვართოდ იყო გაშლილი მახობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა. საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 20 ნოემბრის № 488 და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 15 ივნისის № 307 ბრძანებულებათა შესაბამისად, აღწერის ჩატარების მეთოდებისა და წესის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისა და მათი მოვალეობა-პასუხისმგებლობის

შესახებ მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობის გახაზღვლად ყვართოდ გამოიყენებოდა მასმედის საშუალებები. ტელევიზია და რადიო წინასწარ შედგენილი თემატიკის მიხედვით სისტემატურად აშუქებდნენ აღწერის საკითხებს, სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა ორი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. მასმედის მუშაკებისათვის სისტემატურად ეწეობოდა პრესკონფერენციები, პრესის ფურცლებზე ქვეყნდებოდა აღწერის მოზადება-ჩატარებისთან დაკავშირებული მასალები, დიდ მუშაობას ეწეოდა ადგილობრივი პრესაც, რომლის ფურცლებზე აღწერის მიზნების, ამოცანებისა და მნიშვნელობის შესახებ სისტემატურად იბეჭდებოდა როგორც ვართო საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა, ისე ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის, სტატისტიკური ორგანოების პასუხიმგებელი მუშაკების სტატები.

საღწერო პერსონალის მომზადებისათვის აქტიურად გამოიყენებოდა აღწერის საკითხებისადმი მიძღვნილი დოკუმენტური და სასწავლო ფილმები.

მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობის აქტიუზაციას დიდად შეუწყო ხელი სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან 1998 წლის აპრილში ყოველთვიური რეკვერდინი გაზეთის „მილიონთა ბიოგრაფია“ დაარსებამ. მის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ საქართველოს მოსახლეობისადმი მიმართვაში საქართველოს პრეზიდენტი აღნიშნავდა: „მოსახლეობის ამჟამინდელი აღწერა შეაჯამებს ქვეყნის ბიოგრაფიის ამ ბოლო, ურთულეს მონაკვეთს და დაგვანახებს: რამდენი ვართ, რანი ვართ, როგორები ვართ, რა ადამიანური რესურსები გავგანია, რისი გაკეთება შეგვიძლია. ამის გამოკეთა, ამის განსახლერა აუცილებელია, რათა ქვეყანამ შესამე ათასწლეულში მეტი იმედით, მეტი სინათლით შეაბიჯოს“. პრეზიდენტის მიერ აღწერის მნიშვნელობის ასეთი მაღალი შეფასება საპროგრამო დოკუმენტად იქცა როგორც სტატისტიკის დეპარტამენტისა და მისი ადგილობრივი ორგანოების, ისე აღწერის მრავალათასიანი საღწერო პერსონალისათვისაც.

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის მხოლოდ 9 ნომერი გამოვიდა და მოკლე აღმონდა მისი მოღვაწეობის პერიოდი, მან მეტად დიდი როლი შეასრულა აღწერის მეთოდოლოგიური, სამართლებრივი და ორგანიზაციული საკითხების გაშუქებაში, ამასთან ერთად, გაზეთი, რომლის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის მეცნიერი დემოგრაფები, ეკონომისტები, სხვა დარგის სპეციალისტები, ვართოდ აშუქებდა აღწერის ისტორიას, მიზანს, ამოცანას, მისი ჩატარების აუცილებლობას.

გარდა ამისა, დეპარტამენტმა საღწერო პერსონალის დასახმარებლად მოამზადა და ცალკე წიგნად გამოსცა „მოსახლეობის აღწერისა და ზოგიერთი

დემოგრაფიული ტერმინის მოკლე განმარტებითი ლექსიკონი“, აგრეთვე, ბროშურა „საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერა“. გამოშვებულ იქნა 7 პლაკატი, მათ შორის, ორი – ძნელმისადაგომ რაიონებში, ხოლო ხუთი საყოველთაო აღწერის ჩატარების საკითხებზე, რომელთაც დიდი შედეგებით მნიშვნელობა აქონდათ.

უაღრესად დადებითი როლი შეასრულა ტელევიზიითა და რადიოთი დეპარტამენტის პასუხისმგებელ მუშაკთა გამოსვლებმა მოსახლეობის აღწერის დაწყებისა და მსუელელობის შესახებ.

გაეროსა და დსთ-ის სტატისტიკის საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციებით, წინა აღწერების გამოცდილების გათვალისწინებით, აღწერის მომზადებისა და ჩატარების მეთოდოლოგიური, სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლების, მისი მასალების დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების ეფექტიანობის შემოწმებისა და აღწერის მომზადება-ჩატარებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტების სწავლების მიზნით, ძირითად აღწერას 2-2,5 წლით უნდა უსწრებდეს საცდელი აღწერა. ეს საშუალებას იძლევა, შემოწმდეს, რამდენად სრულყოფილია აღწერის პროგრამა, სააღწერო დოკუმენტაციის ფორმები და შინაარსი, ახსნა-განმარტებითი მუშაობის ეფექტიანობა, კითხვების კოდირების სისტემა, აღწერის მასალების ავტომატიზებული დამუშავების ტექნოლოგიური პროცესები და სხვ.

ქვეყნის ბიუჯეტში შექმნილი სირთულეების გამო, დეპარტამენტმა ვერ შეძლო მოსახლეობის საცდელი აღწერის ჩატარება, თუმცა, არ შეიძლება, მადლიერებით არ მოვიხსენიოთ რუსეთის, ბელორუსიისა და ყირგიზეთის სტატსამსახურები ანალოგიურ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად დეპარტამენტის წარმომადგენელთა მიწვევისათვის, რაც მეტად სასარგებლო აღმოჩნდა აღწერის მომზადება-ჩატარებასთან დაკავშირებულ რიგი პრობლემების გარშემო უცხოური გამოცდილების შესასწავლად. აქვე არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ უსახსრობის გამო 2000 წელს ვერ მოხერხდა რუსეთის მოსახლეობის საცდელ აღწერაში მონაწილეობის მიღება. აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ უსახსრობისა და სათანადო ტექნიკის უქონლობის გამო დეპარტამენტმა ვერ შეძლო ვერც 1998 წლის სექტემბერში ე.წ. ძნელმისადაგომ რაიონებში ჩატარებულ აღწერის მასალების საცდელი აღწერის დანიშნულებით გამოყენება.

4. მოსახლეობის აღწერის მომზადებისა და ჩატარების ეტაპები

4.1. აღწერის მომზადებისა და ჩატარების დაზოგვა

მოსახლეობის აღწერის მომზადებისა და ჩატარების სამუშაოები სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა დაიწყო წინა აღწერების, სოციალურ-დემოგრაფიული და შინამეურნეობათა კვლევის მასალების, აგრეთვე, აღწერების საერთაშორისო პრაქტიკის, ქართულ სექციალისტთა მიერ 1997–1998 წწ. რუსეთის ფედერაციის როსტოვის ოლქის აქსაის, ბელორუსიის მოლოდენენსკისა და ყირგიზეთის ნუისკის ოლქის კანტის რაიონების მოსახლეობის საცდელ აღწერებში მიღებული გამოცდილების, გაეროსა და ევროსტატის მოსახლეობის აღწერების შესახებ რეკომენდაციების შესწავლით. ყოველივე ამან თავისი ასახვა პოუვა მოსახლეობის აღწერის მომზადების, ჩატარებისა და მისი მასალების დამუშავების კალენდარულ გეგმებში, რომლებიც განიხილებოდა როგორც დეპარტამენტის მუდმივმოქმედი საბჭოს, ასევე, აღწერის საორგანიზაციო სახელმწიფო კომისიის სხდომებზე და ზუსტდებოდა აღწერის თარიღის არაერთხელ შეცვლის გამო.

საპარტიველო მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მომზადების, ჩატარებისა და მისი მასალების დამუშავების გეგმა

№№	სამუშაოს დასახელება	შესრულების ვადა
L	მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები:	
1.	მოსახლეობის აღწერის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური და სამართლებრივი საფუძვლების შემუშავება	1995–2001 წწ.
2.	აღწერის ნატარებისათვის საჭირო ხარჯების წინასწარი ნების (ხარჯთაღრიცხვის) შედგენა (შემდგომში – ყოველწლიური დაზუსტებით)	1996–2001 წწ.
3.	მოსამზადებელი სამუშაოების პროგრამისა და ინსტრუმენტარის მომზადება	1997–2001 წწ.
4.	აღწერის ნატარების პროგრამისა და ინსტრუმენტარის მომზადება	1997–2001 წწ.
5.	აღწერის მომზადებისა და ჩატარების სამუშაოთა გრაფიკის (კალენდარული გეგმის) შემუშავება ^{*)}	1996-1997 წწ. 2000–2001 წწ.

^{*)} აღწერის თარიღის გადავადების გამო განმეორებით შესრულებული სამუშაო.

№№	სამუშაოს დასახელება	შესრულების ვადა
6.	საქალაქო დასახლებათა სიებისა და საზღვრების დადგენა, მოსახლეობის აღრიცხვიანობის შემოწმება, სამისამართო მეურნეობის მოწესრიგება*	1997 წ. I იულისამდე 2001 წ. I იულისამდე
7.	სააღწერო დარაიონებისათვის კარტოგრაფიული მასალების მომზადება*	1998 წ. I იანვრამდე 2001 წ. I იანვრამდე
